

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2025 წლის 11 ნოემბერი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 27/12/2024, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016391) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

დანართი №1

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
შემოსავლები	24 296 482	25 962 126	32 559 658
გადასახადები	15 382 649	17 085 507	19 751 500
გრანტები	8 330 251	8 355 506	12 232 158
სხვა შემოსავლები	583 582	521 112	576 000
ხარჯები	15 502 736	17 864 521	23 178 760
შრომის ანაზღაურება	5 950 429	6 881 806	8 524 197
საქონელი და მომსახურება	3 388 352	3 846 412	4 740 949
პროცენტი	9 788	5 265	2 900
სუბსიდიები	2 773 961	3 118 151	4 017 350
გრანტები	6 350	1 700	0
სოციალური უზრუნველყოფა	1 491 465	1 843 415	1 796 593
სხვა ხარჯები	1 882 390	2 167 771	4 096 771



საოპერაციო სალდო	8 793 746	8 097 605	9 380 898
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9 250 797	8 391 065	9 848 898
ზრდა	9 260 222	8 410 640	9 878 898
კლება	9 425	19 575	30 000
მთლიანი სალდო	-457 051	-293 460	-468 000
ფინანსური აქტივების ცვლილება	-483 841	-320 250	-496 000
კლება	483 841	320 250	496 000
ვალუტა და დეპოზიტები	483 841	320 250	496 000
ვალდებულებების ცვლილება	-26 790	-26 790	-28 000
ზრდა	0	0	0
საშინაო	26 790	26 790	28 000
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
შემოსულობები	24 305 907	25 981 701	32 589 658
შემოსავლები	24 296 482	25 962 126	32 559 658
არაფინანსური აქტივების კლება	9 425	19 575	30 000
გადასახდელები	24 789 747	26 301 951	33 085 658
ხარჯები	15 502 736	17 864 521	23 178 760
არაფინანსური აქტივების ზრდა	9 260 222	8 410 640	9 878 898
ვალდებულებების კლება	26 790	26 790	28 000
ნაშთის ცვლილება	-483 841	-320 250	-496 000

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 32 559 658 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	24 296 482	25 962 126	32 559 658	32 559 658
გადასახადები	15 382 649	17 085 507	19 751 500	19 751 500



გრანტები	8 330 251	8 355 506	12 232 158	12 232 158
სხვა შემოსავლები	583 582	521 112	576 000	576 000

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 19 751 500 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	15 382 649	17 085 507	19 751 500	19 751 500
გადასახადები ქონებაზე	403 035	463 994	730 000	730 000
გადასახადები უძრავ ქონებაზე	403 035	463 994	730 000	730 000
ქონების გადასახადი	403 035	463 994	730 000	730 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	329 309	384 873	697 000	697 000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 844	5 776	3 000	3 000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	7 339	7 987	0	0
ფიზიკური პირებიდან	6 280	6 746	0	
იურიდიული პირებიდან	1 059	1 241	0	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	61 543	65 358	30 000	30 000
ფიზიკური პირებიდან	3 933	4 044	2 000	2 000
იურიდიული პირებიდან	57 610	61 315	28 000	28 000
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	14 979 614	16 621 513	19 021 500	19 021 500
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	14 979 614	16 621 513	19 021 500	19 021 500
დამატებული ღირებულების გადასახადი	14 979 614	16 621 513	19 021 500	19 021 500
საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან	5 615 192	6 249 207	5 842 000	5 842 000
იმპორტირებული პროდუქციიდან	9 364 422	10 372 306	13 179 500	13 179 500

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები (ტრანსფერები)
განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტისბიუჯეტის გრანტები 12 232 158 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები



გრანტები	8 330 251	8 355 506	12 232 158	12 232 158
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	8 330 251	8 355 506	12 232 158	12 232 158
მიმდინარე	1 575 337	2 251 297	4 359 158	4 359 158
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	0	200 000	254 233	254 233
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	0	200 000	254 233	254 233
მიზნობრივი ტრანსფერი	0		154 760	154 760
სხვა	0	200 000	99 473	99 473
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	1 575 337	2 051 297	4 104 925	4 104 925
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	1 575 337	2 051 297	4 104 925	4 104 925
სპეციალური ტრანსფერი	1 575 337	2 051 297	4 104 925	4 104 925
კაპიტალური	6 754 914	6 104 208	7 873 000	7 873 000
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	0	0	223 000	223 000
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	0	0	223 000	223 000
სხვა	0	0	223 000,00	223 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	6 754 914	6 104 208	7 650 000	7 650 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	6 754 914	6 104 208	7 650 000	7 650 000
კაპიტალური ტრანსფერი	6 754 914	6 104 208	7 650 000	7 650 000

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 576 000 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	მათ შორის
				საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავალი	583 582	521 112	576 000	576 000
შემოსავალი საკუთრებიდან	213 567	201 299	207 000	207 000
პროცენტი	129 341	91 378	90 000	90 000
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	129 341	91 378	90 000	90 000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	129 341	91 378	90 000	90 000
რენტა	84 226	109 921	117 000	117 000



მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	82 761	108 456	114 000	114 000
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	15 000	70 000	12 000	12 000
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	41 408	36 283	60 000	60 000
მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის		79	0	
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	120	2 740	17 000	17 000
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	370	451	0	0
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	25 863	-1 098	25 000	25 000
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1 465	1 465	3 000	3 000
საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია	43 971	86 533	77 000	77 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	27 810	71 572	57 000	57 000
სანებართვო მოსაკრებლები	4 797	53 266	30 000	30 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	4 797	53 266	30 000	30 000
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	23 013	18 290	27 000	27 000
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		16	0	
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	16 161	14 961	20 000	20 000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	16 161	14 961	20 000	20 000
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან		14 961	0	
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	16 161		20 000	20 000
სანქციები, ჯარიმები და საურავები	41 619	36 326	42 000	42 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	32 369	32 126	29 000	29 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	4 205	6 834	6 000	6 000



შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო		2 400	0	
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	2 410	1 064	5 000	5 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	19 195	19 358	18 000	18 000
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	18 760	17 958	15 000	15 000
უბილეთო მგზავრობის გამო	60		0	
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	375	1 400	3 000	3 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	6 420	2 470	0	0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	140		0	0
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	9 000	4 200	7 000	7 000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	250		6 000	6 000
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	284 426	196 955	250 000	250 000
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	284 426	196 955	250 000	250 000
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	284 426	196 955	250 000	250 000
სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	1 607	1 607	0	0,00
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	4 973	765	0	0,00
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	277 847	194 583	250 000	250 000



მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 23 178 760 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
ხარჯები	15 496 386	17 862 821	23 178 760
შრომის ანაზღაურება	5 950 429	6 881 806	8 524 197
საქონელი და მომსახურება	3 388 352	3 846 412	4 740 949
პროცენტი	9 788	5 265	2 900
სუბსიდიები	2 773 961	3 118 151	4 017 350
სოციალური უზრუნველყოფა	1 491 465	1 843 415	1 796 593
სხვა ხარჯები	1 882 390	2 167 771	4 096 771

მუხლი 8. არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9 908 898 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9 878 898 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	290 700	1 004 918	307 450
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	114 933	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7 474 498	5 744 910	6 726 800
დასუფთავება და გარემოს დაცვა	172 252	258 378	0
განათლება	138 287	82 714	239 334
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	963 852	1 054 075	2 179 714
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	220 633	265 645	425 600
სულ ჯამი	9 375 154	8 410 640	9 878 898

ბ) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 30 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა



არაფინანსური აქტივების კლება	9 425	30 000	30 000
ძირითადი აქტივები	6 125	10 000	10 000
არაწარმოებული აქტივები	3 300	20 000	20 000
მიწა	3 300	20 000	20 000

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 33 057 658 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, მათ შორის:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	მათ შორის
					საკუთარი შემოსავლები
7,1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 283 628	5 638 124	6 090 060	6 090 060
7,11	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 155 041	4 581 381	5 724 760	5 724 760
7,111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 155 041	4 581 381	5 522 660	5 522 660
7,112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	202 100	202 100
7,16	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	9 788	5 265	2 900	2 900
7,18	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	118 799	1 051 478	362 400	362 400
7,2	თავდაცვა	114 933	0	0	0
7,21	სამოქალაქო თავდაცვა	114 933	0	0	0
7,4	ეკონომიკური საქმიანობა	4 151 897	2 910 967	2 958 100	2 958 100
7,42	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	7 899	12 799	0	0
7,421	სოფლის მეურნეობა	7 899	12 799	0	0
7,45	ტრანსპორტი	3 772 397	2 393 052	2 368 700	2 368 700
7,451	საავტომობილო ტრანსპორტი	3 772 397	2 393 052	2 368 700	2 368 700
7,47	ეკონომიკის სხვა დარგები	371 601	505 116	589 400	589 400
7,473	ტურიზმი	371 601	505 116	589 400	589 400
7,5	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 472 054	1 798 140	1 881 000	1 881 000
7,56	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 472 054	1 798 140	1 881 000	1 881 000
7,6	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	5 026 699	4 397 785	5 747 100	5 747 100
7,62	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 432 398	1 849 307	1 970 200	1 970 200
7,63	წყალმომარაგება	1 312 678	1 555 383	1 758 900	1 758 900



7,66	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 281 622	993 096	2 018 000	2 018 000
7,7	ჯანმრთელობის დაცვა	863 584	969 286	1 136 300	1 136 300
7,76	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	863 584	969 286	1 136 300	1 136 300
7,8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 956 851	3 620 480	5 690 600	5 690 600
7,81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	711 046	1 649 345	1 913 500	1 913 500
7,82	მომსახურება კულტურის სფეროში	2 245 805	1 971 135	3 777 100	3 777 100
7,9	განათლება	3 820 672	4 103 634	5 059 400	5 059 400
7,91	სკოლამდელი აღზრდა	2 860 216	2 996 081	3 505 800	3 505 800
7,98	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	960 456	1 107 553	1 553 600	1 553 600
7 10	სოციალური დაცვა	2 072 639	2 836 745	4 495 098	4 495 098
7 107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	30 969	31 476	32 000	32 000
7 109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2 041 670	2 805 269	4 463 098	4 463 098
	სულ ბიუჯეტის გადასახდელები	24 762 957	26 275 161	33 057 658	33 057 658

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 468 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 28 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 202 100 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ გამოყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა
2025 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
პრიორიტეტი:



1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

მმართველობით სფეროში განხორციელებული პროექტები, მუნიციპალიტეტის მერიას აძლევს საშუალებას ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად მოიძიოს ინვესტიციები და გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მონაწილეობითი ბიუჯეტი ხელს უწყობს ინკლუზიური დემოკრატია, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას, წარმოადგენს მასას და მოსახლეობას შორის დემოკრატიულ დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან პროცესს.

მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებით მონაწილეობას საგრანტო კონკურსებში, რომელსაც განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია მოქმედი თუ შემოსული არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ საგრანტო კონკურსს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ადგილობრივი თვითმმართველობა, რაც საშუალებას აძლევს მოიგოს პროექტი და განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა პროექტი. აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვანია თანამედროვე მართვის სისტემის საფუძვლების დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობს პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები
01 02 01	სარეზერვო ფონდი
01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში
01 02 04 01	სასახლო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
01 02 04 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა
01 02 05	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა
01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა
01 02 07	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლება
01 02 08	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა

პრიორიტეტი:

2. ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 00).

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელიც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია



მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01). პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდეები, მილხიდეები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, გენდერულად მგრძნობიარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, გზების ადაპტირებას (ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა), საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოეწყობას საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა ობიექტებთან, გზების მოდინებული წყლის ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კიუვეტების, ცხაურების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციას.

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერულად პასუხისმგებლიანი საგზაო ინფრასტრუქტურა ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, მათ შორის შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია
02 01 02	ავტობუსის შესყიდვა (ერთი ერთეული)
02 01 03	მთებზე მოიალალეთა ტრანსპორტირება
02 01 04	ბურღვა აფეთქება
02 01 05	საზოგადოებრივი ტრანპორტით უზრუნველყოფა
02 01 06	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02). მუნიციპალიტეტსი განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

წყლის სისტემების მოწყობა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა გენდერულად მნიშვნელოვანია. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. გენდერული როლების გათვალისწინებით სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუმსუბუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება,



შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა.

წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების სასმელი წყლით მომარაგებას, რაც შექმნის სანიტარულ პირობებს სააღმზრდელო და განათლების დაწესებულებებში როგორც გოგოებისა და ბიჭებისთვის, ასევე ქალი და კაცი მასწავლებლებისა და დასაქმებული პერსონალისთვის.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოწყობილია გენდერულად პასუხისმგებლიანი წყალმომარაგების სისტემა, რეაბილიტირებულია და აშენებულია წყლის სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მოსახლეობის უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება, გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

ქვეპროგრამა: წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01). ქვეპროგრამა ითვალისწინებს არსებული წყლის სისტემაზე დაზიანებული ქსელის ამოცვლას, სარეზერვო გამანაწილებელი აუზების აშენებას, დამატებით მომხმარებლების მიერთებას და ოჯახებისათვის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას, მილების შეძენას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა
02 02 01 01	პირველი მაისის სოციალური სახლისათვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
02 02 01 02	სოფელ ზენდიდის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 03	სოფელ ახოს ნაჭვავარის უბნის მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 04	სოფელ ახოში ბაზალეთის უბნის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა
02 02 01 05	სოფელ ახოში ძერვენახის უბნის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა
02 02 01 06	სოფელ ოქტომბრის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა
02 02 01 07	სოფელ კვაშტის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა

• ქვეპროგრამა: შპს ქედის წყალკანალი (პროგრამული კოდი 02 02 02). მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი

სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის წყალკანალს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვას.

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა, ქლორირება და ფილტრაცია. გაუმჯობესებულია წყალმომარაგების მომსახურება, უზრუნველყოფილია წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება და მოვლილია კანალიზაციო და სანიაღვრე არხები.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი

პროგრამა: კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03). პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობილია გენდერულად პასუხისმგებლიანი საზოგადოებრივი სივრცეები და გაუმჯობესებულია მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო.

ქვეპროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 03 01). პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. ასევე ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
02 03 01 02	სოციალური სახლის მშენებლობა



02 03 01 03	სოფელ კორომხეთში სოფლის სახლის მშენებლობა
-------------	---

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და მობინადრეთათვის შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო; რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და მოსახლეობისთვის შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

- პროგრამა:** ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; (პროგრამული კოდი 02 03 02). გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხორციელდება სამუშაოები დაზიანებული გზების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, უმისამართოდ გამდინარე წყლების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე ახალი ტერიტორიების ათვისება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: სტიქიისგან დაცული მოსახლეობა, მუნიციპალური და კერძო საკუთრება და ათვისებული ახალი ტერიტორიები.

- პროგრამა:** მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 04). მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ზემოაღნიშნული სამუშაოების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. 2024 წლისათვის დაგეგმილი და შესყიდული მშენებლობის პროექტების სისტემატურ კონტროლს. ფარული სამუშაოების ზუსტად აღრიცხვას და ფორმა N2-ების მიხედვით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და ზომების შემოწმებას.
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:**

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები
02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები
02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა



02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზეიმოდხედელო მომსახურების გაწევა
----------	---

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

პროგრამა: სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 05). მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა
02 05 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია; ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერები.

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი
02 09	„გომის“ მთის ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა
02 10	მთა „ტბათში“ ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა

პრიორიტეტი

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები ასევე სკვერებში ბალახის გათიბვა

პროგრამა: მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 00). პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზიფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის



ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 2 ნაგავზიდი. გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის დამატებით კომუნალური მომსახურებისათვის კონტეინერების განთავსება დღემდე მომსახურების გარეშე დარჩენილი უბნებისათვის. რითაც მომსახურების სფეროში მოექცევა მუნიციპალიტეტის მთელი დასახლებული ტერიტორია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით დანერგილია მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა და უზრუნველყოფილია ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება

პრიორიტეტი:

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00).

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 00). „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის ან სხვა საფასურის შემოღება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 490 და მეტი ბავშვი. (მათ შორის გოგო 50.8 %, ბიჭი 49.2%). ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 255 აღმზრდელი (მათ შორის ქალი 88 % და კაცი 12 %), სხვა პერსონალი და ადმინისტრაცია.

"სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების “ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი



აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; **ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება**; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ქედის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების, დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.

-ა(ა)იპ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება

საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.

პროგრამის ფარგლებში თანხა გაიცემა წლის განმავლობაში ერთხელ.

04 00	განათლება
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება
04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება
04 01 02	საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია
04 02	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა, შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღზრდელო გარემო.

პროგრამა.

ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება (**პროგრამული კოდი 04 02**)

განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლის, აბიტურიენტისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზე მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარებზე წლის განმავლობაში გაიცემა ერთჯერადი დახმარება, რომლებსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვთ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში, ამასთან მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მინიჭებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსნის ან მედალოსნის კანდიდატის სტატუსი.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:



იმ აბიტურიენტთა დახმარება, რომლებიც ბოლო ორი წელი სწავლობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებენ სახელმწიფო (50 %, 70%, 100 %) გრანტს და ჩაირიცხებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.

04 02	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება
-------	--

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების წახალისება .

პრიორიტეტი:

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00).

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ებისა და შ.პ.ს-ების მიერ.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01). ქედის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება.

სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე



სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;

სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. რეგიონალური სპორტული შეჯიბრება.სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის განხორციელება და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
05 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა
05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა
05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა
05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, გამოვლენილია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

პროგრამა: სპორტული კლუბების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03). მოხდება ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა და განვითარება მზადების ყველა ეტაპზე, რათა შემდეგ მოხდეს ძირითადი გუნდისათვის კვალიფიციური რაგბისტების ჩამოყალიბება. სელექციის პროცესი ხელს შეუწყობს გუნდების სასწავლო საწვრთნელი პროცესის ამაღლებას. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთერთი მთავარი პირობაა შედეგის მისაღწევად. 1.სარაგბო კლუბ „ფირალები“-ს საქართველოს რეგიონალურ ჩემპიონატში პირველ სამეულში მოხვედრა. აგრეთვე, რაგბისა და ფეხბურთს პოპულარიზაციის მიზნით მეტი ახალგაზრდის მოზიდვა რაგბისა და ფეხბურთის ასაკობრივ გუნდში, რაც ადგილობრივი პროფესიონალი სპორტსმენების აღზრდისა და ძირითადი გუნდის ქედის სპორტსმენებით დაკოპლექტების წინაპირობაა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა
05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა
05 01 03 02	შ.პ.ს. სარაგბო კლუბი ფირალები
05 01 03 03	ააიპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა"



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა და კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა; უზრუნველყოფილია რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.

პროგრამა: სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04). ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია
05 01 04 01	სოფელ აქუცაში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია
05 01 04 02	სოფელ ხარულაში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია -რეაბილიტაცია
05 01 04 03	დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე მინი-სპორტული მოედნის რეაბილიტაცია
05 01 04 04	მთა სასადილოში მინი სპორტული მოედნის მოწყობა
05 01 04 05	მთა ნაკონაღვარში მინი სპორტული მოედნის მოწყობა

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განახლებული მინი სპორტული მოედნები.

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02). ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა.კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების,იუბილარ, ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების,საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას.

კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/(ტრენინგები,ვორქშოფები, სემინარები,მასტერკლასები)

